ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4224042

ნომერი: AR1637425

თარიღი : 15.10.2018

გაცემის თარიღი : 18.10.2018

გაცნობის თარიღი : 19.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2418035 ; 3450473 ;4187266
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.02.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კობა მოდრეკილაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ესა ,,კედელი,,

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205342182
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: საბა აბესაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 54001044344

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 457.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2239.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1921.8
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1339.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 184.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 307.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 91.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8050.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7750.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 300.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 31.45
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 30.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.25
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 223.9/457=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1631.3/457 =3.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 34.6/457=0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს მიერ დაყენებულ საკითხზე და გაცნობოთ ყველა შესაძლო ხარვეზი, საჭიროა წარმოადგინოთ მხოლოდ საპროექტო შენობის ნახაზები და დოკუმენტაცია. ხოლო პროექტი მოიყვანოთ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობაში (მაგალითად საჭიროა გაითვალისწინოთ ცხრილი 1021.2(1))

ასევე გაითვალისწინეთ:

საჭიროა დაიცვათ განშენიანების რეგულირების სავალდებულო ლურჯი ხაზი, გაითვალისწინეთ შენობის ფასადი განთავსდეს რეგულირების ხაზის შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სრულად გაცნობოთ ხარვეზები.

1. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

1. კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
2. გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
3. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
4. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
5. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

2. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი;
.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: ტოპოგრაფიული გეგმა წარმოდგენილი უნდა იქნას შემსრულების მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული, ხოლო შტამპიდან უნდა ამოიშალოს ქ. თბილისის მერია - სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური;

3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა;

4. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: საზოგადოებრივი სივრცის სიგანე საჭიროა დაიტანოთ ქუჩის მიმართ მართობულად; შესაბამისად განაახლეთ ჭრილი და დაიტანეთ მაქსიმალური სიმაღლის განმსაზღვრელი სხივი;

5. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : ფოტომონტაჟზე საჭიროა მიუთითოთ სამშენებლო მასალა და ფერი;

6. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი: აღნიშნულ ველში საჭიროა ატვირთოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით;

7. დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობაზე და სამშენებლო სამუშაოების ჩატარებით მათზე ზეგავლენის არსებობაზე;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად განიხილოს პროექტი და გაცნობოთ ყველა შესაძლო ხარვეზი;
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.